ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №229584

ნომერი: AR159298

თარიღი : 16.06.2012

გაცემის თარიღი : 06.07.2012

გაცნობის თარიღი : 07.07.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 37 , (ნაკვეთი N3/134) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა ჭანტურია პ/ნ 01030036739
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 37 ბ. 22

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.04.12 წლის №123095 წერილობით თანხმობაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

06/16/2012 წ. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს №AR159298 განცხადებით მომართა ანა ჭანტურიამ და მოითხოვა სამსახურის 17.04.12 წლის №123095 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კარძოდ: აივნის შემინვის ნაცვლად აივნის მიშენების მითითება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №37-ში, აივნის შემინვის მიზნით გაცემულ იქნა №123095 წერილობითი თანხმობა. სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ცხადია, რომ დამკვეთმა ანა ჭანტურიამ - მოითხოვა ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №37-ში აივნის მიშენების მიზნით წერილობითი თანხმობა. რაც ასევე დასტურდება წარმოდგენილი ფოტომონტაჟითა და ამოხანაგობის კრების ოქმით. აღნიშნული დოკუმენტაცია ეხება არა აივნის შემინვას არამედ, ერთიანი პროექტის ფარგლებში აივნის მიშენებას. გამომდინარე აქედან, ცხადია, რომ ზემოაღნიშნულ წერილობით თანხმობაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე, სამსახურმა მიზნშეწონილად მიიჩნია, გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ წერილობით თანხმობაში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.04.12 წლის №123095 წერილობით თანხმობაში, კერძოდ: შემინვის ნაცვლად დაფიქსირდეს აივნის მიშენება.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.04.12 წლის №123095 წერილობით თანხმობასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარატავს ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.